1:0 და 1:1

ლესელიძე, 8 მარტი. შავი ზღვის პირას საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელებმა გუშინ აქ ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარეს მოსკოვის ”ტორპედოსთან”.

საინტერესო ბრძოლა მოიგეს თბილისელებმა - 1:0. ეს გოლი შესვენებამდე გაიტანა გ. ნოდიამ. ერთ-ერთ მომენტში მოსკოველთა მეკარე ბანიკოვმა გაჭირვებით მოიგერია ლ. ნოდიას დარტყმული ბურთი, მას მიუსწრო ყიფიანმა, გადააწოდა გ. ნოდიას და ანგარიშიც გაიხსნა.

თბილისის ”დინამო” ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, , გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (კუტივაძე).

ლელო 10.03.73